

გაზეთის ღირებულება:

ბაზაზე	ტფილისში	ბაზაზე	ტფილისში
და გარეშე	ადგილობრივად	და გარეშე	ადგილობრივად
შრომის წლისა	— 7 მან.	— 6 მან.	— 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— 2 —	— 2 —
საღებო ფრთის ნუმერისა	გაუგზავნელათ	— 3 შაური.	— 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკოს-შეილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრეხი: ВЪ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივად ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადება.

20 ივლისიდან მედიკოს-შეილის და კამ. სტამბა და „დროების“ რედაქცია იმყოფება ხანის ქუჩაზე, პოლიციის გვერდით, თავ. მიხეილ ბებუთოვის სახლებში.

რედაქციისათვის.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველსავე ნუმერად.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მოწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი: უმაღლესი ბრძანება ქვეყნის ნამდვილი სახმარებელია. — „დროების“ კორექტორს დენცია: ძახუთიძე. — პოლიტიკა: შრანცია, ბერეჟიკის პროცესი. — ტელეგრაფები. — სალიტერატურო ნაწილი: საშუალო ასობით მოგზაურობა. — რამდენიმე სიტყვა დრამაზე „მაიკა“. ქერძობითი განცხადება.

უმაღლესი ბრძანება ქვეყნის ნამდვილი სახმარებელია.

მისმა იმპერატორებთმა უდიდებულესობამ, პეტერბურგში, 18 ივნისს 1867 წელს, გამოსცა შემდეგი ბრძანება ქვეყნის ნამდვილი სახმარებელია: დამტკიცდებიან თანამდებობაში ამორჩევით: ტფილისის გუბერნიის მარშალთა—დეისტრუქციონის სტატუსი სოცეტნიკი შიფიანი; ტფილისის კლასიკურის გიმნაზიის საპატიო მწრუნელებათ—კოლეგისკი რეგისტრატორი მალალა შვილი.

„დროების“ კოსტრასკონდენსია.

ქახეთი დგან.

ხშირათ ანოვიკითხავთ ხოლმე „დროებაში“ სასიამოვნო ამბებს: ამა და ამ სოფელში და ქალაქში ესა და ეს კაცების, თუ ქალების სასწავლებელი გაიხსნა, სხვა და სხვა საკითხავი წიგნები ქართულს ენაზედ გამოვიდა, ამა და ამ ალაგებში ზოგიერთა კეთილსამიერად დაწესებები მოახდინეს და სხვანი. საწყალს ჩვენს ქახეთზედ კი ხსენებაც არაფრისაა. მის უნდა დაეზარალოთ ეს უხსენებლობა? იმას, რომ მართლა ქახეთში არაფერს საკეთილო საქმეს ჯერ არ შესდგომიან და არც არა არის რა, თუ იმას, რომ ბევრი არის კარგი, მაგრამ კაცი არა ჰყავს, რომ მოიხსენიოს რამე იმაზედ. ჩემის აზრით, მგონია, ორივეს მოკლებულია. ქახეთს დიდი ხანია სძინავს; მრთელმა ქვეყანამ იგრძნო უქვეყნობა და საჭიროება ხალხის სასწავლებლებისა, კახელებს კი, დიდი მეცადინეობა უნდა და კარგი გოგრა, რომ შესაძლო იყოს ჩაგონოთ, თუ განათლება ხალხისა საჭიროა და ამის გამო მეცადინეობა უნდა შეკლებდეს და არსებისათვის. მანა არა, ყველა გეტყვით კარგია განათლება, მაგრამ მეცადინეობა კი იმის ასრულებისათვის ნუ გგონიათ ვინმემ მოიხმაროს; ყველანი როგორც ტორტმანებენ: ვერც ახალს დროს მიჰყოლიან, ვეღარც ძველი დროს მიღვენა მოუხსენებიათ და არიან რაღაც ნაირ ოცნებებში. თავიანთის განზრახვებით, იღებთ კაცს გაპტრავენ, მო-

ქმედება, საქმის მიყოლა და იმისი ასრულების შნა, სომხებისა არ იყოს, ღმერთს მათთვის არ მოუცია.

ნუ გამიწყობით, კახელებო, ამ გვარის რეკომენდაციისთვის; რა ექნათ, არ შეიძლება მართალზედ ტყუილი ითქვას. ნუ გამიჯავრდებით იმიტომ მაინც, რომ ეს არის ეხლა გამოვლენი ფენი სალიტერატურო ასპარეზზედ და, თუ ზოგი ერთი ტყუილი იყო (არა მგონია კი) ჯერ ხანობით დამიყვავეთ, თორემ როგორც თქვენი გაცხარებული გაჯავრება ვიცი, შემეშინდება და ისეც უნებლიეთ უნდა შევბრუნდე ჩემს სორაში.

ნუ გეშინიანთ, განა სულ ცუდს მხარეებზედ ვილაპარაკებთ? პირველათ ასე უნდა; თქვენც ისე იცით: პატარა უხვირო პატარადალს რომ მოიყვანთ ხოლმე, პირველათ განგებ დაგებას დაუწყებთ, რა არის, ამ დაგებას შეეჩვივნენო და მნახველი, რა ჰნახავს, რომ იმისთანა არ არის—როგორათაც აძაგებდით, მოიწონებს და ეტყვის პატრონს: არა, ძალიან აძაგებდითო, რა უჭირსო იმ დაგებაზედ კარგიაო, და პატრონსაც გული დაუმშვიდდება, რომ მართლა იმისთანა ნაკლებადანებისა არ არის, როგორც თითონ ხმა დაუგლო. მეც ამ მეთოდს მივსდევ: ჯერ ხანობით მინდა ვაძაგო ჩვენი ქახეთი; როცა უცხო კაცი მოვა და ნახავს, რომ იმ დაგებაზედ ცოტა კარგია, მოეწონება, და ეს კარგი არ იქნება?

აქამდის ქახეთს მართლა დროა ძლით ეძინა, ეხლა კი ზოგიერთი პირების დაუცხრომელის შრომის გამო, თუმცა ჯერ არ გამოშუადლებია, მაგრამ დილის სხივი კი უჩანს. . . . სახალხო შკოლების სახლებს სოფლებში ზოგან მარტო კრამიტის დახურული აკლია, ზოგან დახურულიც არის, მაგრამ, რადგან ახალ ნაშენია, კირის სუნი აქვს და პატრონებს ვერ გაუბედნიათ შეილებს მიყვანა, — ეითომ ავთ მყოფობისა ეშინიანთ, ის კი არა, თუ შინ ბოსლებში უყრიათ; ზოგან კი როგორც არის დიდის კოქლობით და მწარე ღიმილით დაიწყეს სწავლა. ყველა საზოგადო სასწავლებლებმა შორის—შესანიშნავი არის ქახეთში ტელაგის წმიდის ნინოს ქალების სასწავლებელი, რომელიც ენერგიული მეცადინეობით კნენა ანა ჰაეკავაძისა და მათი იმპერატორების უმაღლესობების მოწყალეობით დიდი ხანია დაარსდა ქ. ტელაგში; მაგრამ რადგან არ ჰქონდა საკუთარი სახლი, ამიტომ ეს სასწავლებელი ჯერ აქამდისაც გაუწყობელია. დიდი ხანია ამ ზვედენიის სახლათ დანიშნულია უწინდელი ჩვენი მეფეების სასახლე და პროექტიც იმის განახლებისათვის კარგი ხანია შემდგარია, მაგრამ, ბატონო, ამ მოიჯარადრებმა იმდენი აწვალეს, აქციეს და აშენეს ეს სასახლე, რომ განგებ, ცოტა ხნობით რომ როგორმე ორგანიზული თვისებები მისცემოდა ტელაგში კი არა, მგონია სიმბირსაც გადასცილებოდა; დღეს კი ძლიერ დაინახეთ შენობა იგი დასრულებული. ამ მიზეზით დღეს, 11 ივლისს, ტელაგში მოხდა ერთი იმგვარი ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც ძალიან დიდის ხნის განმავლობაში ძლიერ ეღიარება ხოლმე ამისთანა ქალაქს, როგორც ტელაგ.

ამ დღეს იკურთხა უწინდელი ჩვენი მეფეების სასახლე და დანიშნა ტელაგს წმიდის ნინოს ზვედენისთვის. მთელი ტელაგის უფლის კეთილშობილნი თანაუგრძობდნენ ამ შემთხვევას: დიდი და პატარა შეკრებილნი იყვნენ სობოროსთან და აღტაცებით მოელოდნენ ამ სახლის კურთხევას. დილის ათს საათზედ დაიწყო წირვა სობოროში; წირვის შემდეგ ყველა სამღვდლოანი ცერემონიით გაუძღვენ წინ ხალხს და შეივდნენ სასახლეში, გადიხადეს პარაკლისი და შემდეგ ნაკურთხის წყლით ასხურეს თვით შენობა და იქ მყოფნი. ამით გათავდა დღესასწაული და საზოგადოება აპირებდა დაშლას; გენერალ მაიორნა, თ. დავით ჰაეკავაძემ მიიწვია ყველანი საუზმეზედ, რომელიც გაგრძელდა სამ საათამდის. ამ ხნის განმავლობაში წარმოთქმული იყო რამდენიმე სიტყვა და იმათ შორის უფ. ტელაგის უფლის მარშალმა თავის სიტყვის შემდეგ, რომელშიაც უძღვნა მთელის კეთილშობილების სახელით გულითადი მადლობა იმპერატორს და იმპერატრიცას, დიდს მთავარს, ნამესტნიკს, დიდს მთავრინას, მისს მეუღლეს, და კნენა მარანცოვისას, მათის განუწყვეტელის შრომისთვის ჩვენს კეთილდღეობაზედ. — დალია სადღეგრძელო მათი, საზოგადოებამაც თანაუგრძნო. შემდეგ დალიეს სადღეგრძელო ყველა ამ ზვედენის წევრებისა და თანამშრომლებისა, მათ შორის კნენა ანა ჰაეკავაძისა, რომელსაც უძღვენს დიდი მადლობა ამ საქმის თაობისათვის. საუზმის შემდეგ საზოგადოება დაიშალა.

საღამოს, რვა საათზედ, ამ სასახლის ზალაში დანიშნული იყო ბალი წმიდა ნინოს ზვედენის სასარგებლოთ. ბილეთები იყიდებოდა ორსა და ერთს მანეთათ. ხალხი ბევრი შეგროვდა უცხონი და აქაურები; დროს გატარება გაგრძელდა ნაშუალამეს ორს საათამდის, ხალხი დაიშალა სრულიად კმაყოფილი და ნასიამოვნები. მეორეს დღეს, ჩვენმა ყმაწვილკაცობამ გუშინდელი დღესასწაული განაგრძეს დაფაშურით. პარგის ქართულის საუზმით და სველ-სველის ხელაღებით მივიდნენ სასახლის ეზოში, სემანდნენ შესანდობარს ჩვენის მეფეებისა და—სადღეგრძელოს იმ პირებისას, ვისის მეოხებითაც დღეს ამ შენობას გაახლებულს ჰხედავდნენ. ჩვენი შაზია (*) ბეჯეთად გაჰკიოდა ზურნას, თითქოს უნდაო შეატყობინოს ჩვენს მეფეებს, რომ ისიც თავის ზურნით დღესასწაულს იმათის სასახლის განახლებას.

მოამაღალს აგვისტოში ტელაგის ჩინოვნიკობა და სხვანი კეთილშობილნი ამ უფლებსა აპირებენ მისცენ რამდენიმე წარმოდგენა ტელაგში— წმიდა ნინოს ზვედენის სასარგებლოთ. ეს კარგი იმედია! . . . ამაზედ მოვილაპარაკებთ თავის დროზედ.

ს. მაჩანაძისი.
1867 წელსა, 25 ივლისს.

პოლიტიკა.

შრანცია. ბერეჟოვსკის პროცესი. ბერეჟოვსკის პროცესს, რომელიც წარსულს

ნუმერში დაგეგმეთ, დაუშობთ უფ. გენერალ-პროკურორის მარნას და ბერეჟოვსკის დამცველის-ადვოკატის, მამანუელ არაგოს სიტყვებსა.

უფ. გენერალ-პროკურორი მარნა. „შეაღწეო ნაფიცო, მე მსურს გამოვხატო და განესახლო ბოროტ-მოქმედება, რომელიც წარსულს თვეში მოხდა. დამნაშავე ტყდება თავის დანაშაულობაში. ის ამბობს, რომ ამ საქმეზედ ბევრი ვიფიქრეო; ის უშიშრად და შეუნიანებლათ დაწერილებით ლაპარაკობს თავის ბოროტ-მოქმედებაზედ და ამასთან გამოხატავს კაცის აღმაშფოთებელს სინანულს (რომ თავის განზრახვა არ აუსრულდა). ძნელი წარმოსადგენია იმისთანა მდგომარეობა, რომელსაც ამ ბოროტ-მოქმედებაზედ ვფერო მტრათ შეეძლოს კაცის აღძრვა და იმის სვინიდისის ტანჯვა. თქვენს წინ დგას თავის საშობლოდგან განდევნული, რომელმაც ჩვენს სტუმრის-მოყვარე ქვეყანაში შემწეობა და უშიშარი მდგომარეობა მოიპოვა. ამან შრანციისაგან მიღებული შესაწევარი ფული კაცის მოსაკლავს იარაღში მისცა; ხოლო უშიშარი მდგომარეობა იმაში მოიხმარა, რომ თავის-უფლათ მოესაზრებინა ბოროტ-განზრახვა, რომელიც საზოგადოების დღესასწაულს დღეს ასრულებდა მოიყვანა. ხელმწიფის მოსაკლავლათ, რომელსაც სიძულვილით სდევნიდა, დამნაშავეს არ შეეშინა სიკვდილი შეეტანა შეჯგუფებულს ხალხში, ასე რომ შესაძლებელი იყო იმპერატორი ნაპოლეონის მოკვლა. თქვენ იკითხავთ: ვინ არისო ეგ—ამ გვარი საზიზარის და ყმაწვილურის საქმის მომქმედლი? მინ არის ეგ დამნაშავე? ჩემი ვალია აგიხსნათ თქვენ და დამნაშავესაც ამ დანაშაულობის სიმძიმე“. შემდგომ უფ. გენერალ-პროკურორმა გამოხატა მოკლეთ დამნაშავეს უწინდელი ცხოვრება. იმან მოიხსენა ბერეჟოვსკის სახლობაც და სთქვა, რომ ხალხში გავრცელებული ხმა ტყუილი არისო. დამნაშავეს ოჯახისთვის უბატორობა არავის მიუყენებიაო, იმის საკუთრებას არავინ შეგებიაო და იმის სახლობაშიაც არავინ დასჯილაო. ბერეჟოვსკი ამაში აშკარათ გამოტყდაო. ბერეჟოვსკიმ გამოძიებამი, სთქვაო: ყველა პოლმელები ტანჯვაში იყვნენო, ამისთვის რომ მათი სამშობლო ქვეყანა იტანჯებოდაო. გენერალ-პროკურორი განიხილავს ბერეჟოვსკის ცხოვრებას პოლმის რევოლუციის დროდგან დაწყებული იქამდის, როცა იმან გაიგო რუს ხელმწიფის პარიჟში მოგზაურობა და შრანციაში მოვიდა. ამ დროს განმავლობაში დამნაშავე მუდამ თავის ბოროტ-განზრახვაზედ ფიქრობდაო და კითხულობდა დიდის ხალხით იმისთანა წიგნებს, რომელნიც იმას უფრო წააქებდნენო ამ განზრახვაში. „ხუთ შაბათს, 6 ივნისს—ამბობს გენერალ-პროკურორი,—დამნაშავემ ჩვეულებრივს დროსაუზმე სკამა და წაივია ბულონის ტყეში, სადაც ჯარს შინჯავდნენ იმპერატორების თვალ წინ. ზასელის წინათ იმან წაიკითხა ქაზიმირ მოლოვსკის თხზულება და უკანასკნელი სტრიქონი, რომელშიც ის დაფიქრა, იყო—როგორც გაჩვენებს იმაზედ დასმული ნიშანი—ავტორისაგან მოყვანილი შემდგომი ძლიერის ფიცი: „წინაშე ლეთისა, ქვეყნისა და ერისა ეფი-

(*) შაზია ჰქვიან გამოხენის ტელაგის მეფურს.



კაც ვიყო უცხოელთა ერთგული მეომარი ჩემის სამშობლოს გულსთვისა... ვფიცავ შენ ვამხადო ყველა საშუალება რევოლუციის გასამარჯვებლათ, ვფიცავ ვიყო მტერს მაგიერი იმ უბედურებისთვის, რომელიც რომელსამე ჩემს თანამემამულეს შეემთხვევა. ღმერთი იყოს ჩემი შემწე. როდესაც გენერალ-პროკურორმა მოიყვანა გარემოებანი, რომელიც ბოროტ-მოქმედებს უფრო ამძიმებენ, სახელდობს ის, რომ ბოროტ-მოქმედება შესრულდა ჩუმად, შემდგომ ბევრის ფიქრისა, იმან თავის სიტყვა ასე გაათავა: „შეაღწე! მე გაათავავე; ეს საქმე ახლა თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. მთუკა თქვენი ვალდებულება ძირით მძიმე არის, მაგრამ მე გაბედვით დავამტყებ, რომ თქვენი ვალდებულების ასრულება ამაზედ ადვილი არას დროს არა ყოფილა. მოიგონეთ პარიზის მსხვერპლების დრო აღწვთობა, რომლებსაც უნდოდათ დამნაშავე თვითონვე დაესაჯათ; და ახლა თქვენზედ ჰკიდია მოაზრობა ჩირკი, რომელიც შრანციის სტუმრის — მოყვარებას მოეცხო. მოისმინეთ შესანიშნავი პოლმის ემიგრანტების აზრი, რომელთაც დამნაშავეს მოქმედება განკიცხეს. შეგვიძლიან პოლმის დავაყვედროთ იმისი პატრიოტული გატაცება, მისი მოუთმენელი აჩქარება თავისუფლების მოსაპოვებლათ. მაგრამ ის ყოველთვის იბრძოდა მეომარის იარაღით და ჩუმად კაცის კვლა არას დროს არ მოუხდენია. ამ გარემოების და ხალხის აღწვთობების მხანველი აღარ უნდა შეირყოს და ყოველმა ჭეშმარიტმა მოქალაქემ სრული ენერჯია უნდა მოიხმაროს. ამ გვარათ, უფალნო ნაფიცო, თქვენი გრძობა და საზოგადოების სენიდილი ენერჯიულათ გამოცხადდება თქვენს გადაწყვეტილებაში.“

ამას შემდეგ დამნაშავეს ადვოკატმა, უფ. მამანუელ არაგამ ეს სიტყვა წარმოთქვა: „შეაღწე, ღმერთი აღძრული ამ შესანიშნავი პროცესით, რომლის უზენაესი გადაწყვეტილება თქვენ უნდა წარმოთქვათ; მე უფ. პროკურორის უკანასკნელის სიტყვების წინააღმდეგ გამოვხატავ აზრს, რომელიც მე შემიპყრა იმ დროს, როცა ბერეზოვსკის დაცვას შევუდგე. უფ. პროკურორი თხოულობს, რომ თქვენ გადუწყვიტოთ დამნაშავეს საშინელი სასჯელი. მაგრამ მე აქ არა ვხედავ იმ გვარს დანაშაულობას, რომელიც განუკითხველათ უნდა დაისაჯოს. მხანათ, მართალია თუ არა ჩემი აზრი? მანვიხილოთ ცხობრება, ეს იგი დამნაშავეს სული და სენიდილი, დაწვრილებით გაიცინოთ ისა; გამოვიკვლიოთ მიხეზი, რომელიც, რაღაც აუცილებელი ძალით სახალხო დღესასწაულს დღეს გამოადგინა მას ხელი ალექსანდრე II, რუსეთის იმპერატორზედ და პოლმის მფლობელზედ, — იმ პოლმისა, რომელიც არის დამნაშავეს დაუფასებელი სამშობლო და რომელიც იმას ასე უყვარს, რომ როცა იმის სახელს ვახსენებდით საპრობილიეში ჩვენი სამწუხარო საუბარის დროს, მისი პირის სახე ნათლდებოდა და თვალზედ ცრემლები მოსდიოდა. ის არის ოცის წლისა. ცხობრება, რომელიც გამოიხატება სულის მოთხოვნილებაში, დაიწყო იმისთვის მხოლოდ 1863 წელს, იმ დროს, როცა მამა მისმა, რომელიც ამდენიმე წლის წინათ დასტოვა მოლინი, ამდენიმე კვირა გაატარა თავის ოჯახში, და დამნაშავეს წინადაუდგა რუსეთში გაპოლიყო. ამ სიტყვების შემდეგ, ადვოკატმა ნაფიცებს გააკენო ბერეზოვსკის ცხობრება, 6 იენისამდის. „მინამ თქვენ საქმეს გადაწყვეტო, ნაფიცებო, — სიტყვა დამნაშავეს ადვოკატმა — თქვენ უნდა დამნაშავე გაიცინოთ. შევლამ ვიცი თ რანირი უბედურობა გადახდა პოლმის.“ უფ. არაგამ წაიკითხა დებემა შრანციის მინისტრის ღრუენ-დე-ლუისისა შრანციის ელჩთან პეტერბურგში, უფ. მონტბელოსთან მიწერილი, რომელშიაც ნათქვამია რომ პოლმა აღძრა არა სარეველუციო იდეებმა, არა-

მედ კეთილშობლურმა ინსტიტუტებმა: სამშობლოს, სიმართლის და სარწმუნოების იდეებმა. სხანს, ბერეზოვსკი ემორჩილებოდა კეთილშობლურს ინსტიტუტებს და არა უღირსს გულის — თქმას. შემდეგ ადვოკატმა წარმოადგინა რუსის განვითარების, რომლებშიაც ეწერა, რომ დამნაშავეს ოჯახი შეპყრობილია. „სამართლის გადასაჭრელათ საქმა არ არის ის ჩვენება, რომელიც უფ. პროკურორმა მოიყვანა; უნდა გაიცინოთ იმისი სული და სენიდილი. ეს უნდა განვიხილოთ. ბრძობდა თუ არა დამნაშავე, რომ ის კაცის-კვლას აპირებდა? როცა გამოძიების დროს იმას უთხრეს, რომ იმას კაცის-კვლა უნდოდა, იმან უპასუხა: „არა, ეს კაცის კვლა არ არის.“ „როგორ! — მე თვითონ ვუთხარ იმას — განა ვინც ჩუქათა მტერს ელის იმ განზრახვით, რომ ის მოკლას, ღირსი არ არის კაცის — მკვლელათ იწოდოს?“ „მან ეს კი კაცის-კვლა არ არის, მიასუხა იმან, რომ ჩუმად ქუჩის კუთხეებში აყენებდნენ სალდათებს, რომელთაც ბრძანება ჰქონდათ მიცემული, რომ ესროლოთ თოფი შევებით შემოსილის, მლოცველის ქალებისთვის. მისინი სისხლში ამოსერილნი ქუჩაზედ კვიედებოდნენ?“ იმისთვის, რომ კარგათ გაევიგოთ ბერეზოვსკის ხასიათი, მოიხსენეთ პასუხი, რომელიც იმან მიუგო იმის შემპყრობელს კაპიტანს. მართა იმთგანმა იმას ჰკითხა: „მინ იყო თქვენთან?“ დამნაშავემ მიუგო: „ჩემი სამშობლო.“ მე კი ყოველს კითხვებზედ ამას მიუბნებოდა ხალხი: „მე ვიყავ მარტო ერთი ღვთით და ჩემის სამშობლოთი.“ ამბობენ, ის წავიდა ბულონის ტყეში იმ განზრახვით, რომ იქ მალულათ დამბაჩა ესროლა თავის მსხვერპლისთვის. არა, იმისი სული განუშორებლათ პოლმაში იყოფებოდა. ის მხოლოდ პოლმის ხედავდა; ჩვენმა სახალხო დღესასწაულმა იმას ომი მოაგონა. როდესაც იმან პარიზის ულანები დაინახა, იმის გონებას წარმოუდგა მარშის სალდათები. შიქრმა ის გაიტაცა იმ უბედურს 26 იენისის დღისკენ, რომლის საშინელებამაც რევოლუცია აღძრა, როცა იმდენი მსხვერპლი დაიღუპა... მაგრამ რა საჭიროა, ეს ხალხის ყლუტა მოვიგონოთ. ჩვენ ყველას გინახავს ის საშინელი სცენა, რომელიც ჩვენ სურათმა ისრე ხელოვნურათ გარდმოგვცა, რომ იმისი გამოხატულობა ეხლაც თვალწინ მიდგა. მუხლმოდრეკილი ხალხი ფსალმუნს გალობს და იტყვის: „მამულო! მოგვეცი თ ჩვენ მამული!“ და ამ დროს ხალხს სიკვდილი შეესევა. ამდენიმე კაცი წაბარბაცდნენ და მიწაზედ დაეცნენ, იმათ შორის ერთი პოლმელი, რომელსაც ჯვარი ხელში ეჭრა. მინც ცოცხლები დარჩნენ, უძრავათ იდგნენ ბოლით მოსილს რუსის თოფებს წინ და შეუბოვრათ განიერობდნენ: „მოგვეცი თ ჩვენ მამული“. მე ვხედავ ამ სურათს, მე მესმის ამ ჯგუფა ხალხის ხმა. მე ვხედავ კაცების ფერ — მიხდილს პირსა და შევებით მოსილს ქალებსა, ვხედავ მოხუცებულს კაცებს და დედას... დედას, რომელსაც გულზედ ემაწილი მიუკრავს. მე ეხლაც ყურებში მიდგას შემადრწუნებელი სიტყვები, რომლებითაც თითქოს ფსალმუნი თავედა: „მამულო, მამულო, მამულო!“ და ამ დროს უკანდგან მოსმის ჯარის წინამძღოლის ხმა: „ესროლე!“ ამ წამს ბერეზოვსკი დაინახა ახლო მიმავალი კარეტი რუს ხელმწიფე და იფიქრა: „აი მტერი!“ იმას უნებლიეთ წარმოუდგა ემაწილის სახე, რომელიც დედას გულზედ ეკერება. — ევლარ მოითმინა და დამბაჩა ესროლა. აი ნათლათ წარმოდგენილი ფაქტი. აი საქმე როგორ იყო. ბერეზოვსკი იმ დამნაშავეთაგანი არ არის, რომელიც ისრე საზიზღარნი არიან, რომ იმათ საზოგადოება დიდს სიძულილთ თავისგანთ განსდევნის. ჩვენ კიდევ ამას გვეუბნებიან, გავიგოთ ამ საქმის სისაძაღლე, ამ დანაშაულობის სიმძიმე: რუს ხელმწიფე შრანცი-აში იყო, ბერეზოვსკი შეურაცხ — ჰყო ჩვენი

სტუმრის — მოყვარება. მე არ მინდა შედარება მოვხდინო, მაგრამ თუ სტუმრის-მოყვარებაზედ ლაპარაკობთ, უნდა განიჩნოს ორგანი სტუმრის-მოყვარება: სტუმრის-მოყვარება ზნეობითი და სტუმრის-მოყვარება ნიეთიერებითი. მე მურაფიევი ვახსენე; თქვენ კარგათ იცით, თუ როგორ იქცეოდა ის პოლმაში. იმის საქმეებმა თავის საშინელებით განაცვიფრა შრანცია ისტორიული და შრანცია ზნეობითი, და რა მოხდა? ამ მურაფიევს თავისმა ხელმწიფემ გრაფის ღირსება მიანჭა რესკრიპტით, რომელიც ნიცაში იყო ხელმოწერილი. მე შემძლიან ვსთქვა, რომ ამ გვარი რესკრიპტი, ნიცაში ხელმოწერილი, შეიძლება შრანციის სტუმრის მოყვარების შეურაცხ — ყოფათ იწოდოს. (საზოგადო მოძრაობა). „შეაღწე! მე გაათავავე. ჩვენ ყოველ-დღე ვხედავთ აქ უბედურებს, რომელთაც ბოროტ-მოქმედება შეუსრულებიათ, არა იმის გამო, რომ გულში სდებიათ სიძულილი, ან ანგარება, ან ბოროტი გულის-თქმა; და როდესაც თქვენ ვერ ჰპოვებთ იმათ გულში ბოროტს განძახავს, ამართლებთ და აპატივებთ დამნაშავეთ. მე არ ვფიქრობ, ბერეზოვსკი გაემართლო, იმის დანაშაულობა მძიმე არის. იმან დამბაჩა მალულათ ესროლა. შემივიროვებლთ წინააღმდეგ ასე არ მოქმედებენ. იმათ წინააღმდეგ იან ცხადათ, წინაშე ღვთისა და ქვეყნისა. მაგრამ, ვიკითხოთ, დამნაშავეს გულში რა ჰქონდა? ის თხოულობდა მართლ-მსაჯულობას, მამულს და სარწმუნობას. შეაღწე! თქვენ უნდა სამართლიანათ გადაწყვიტოთ ამისი საქმე. ამისთვის მე მოგმართავთ თქვენ და გეტყვით პოლმაში ხმარებულს სიტყვებს: თქვენს გადაწყვეტილებას ღმერთი უარ-ჰყოფს, თუ ბერეზოვსკის დასჯით.“

ამის პასუხათ გენერალ-პროკურორმა სთქვა: „შეაღწე ნაფიცო! ახლათ წარმოთქმულს უფ. არაგამს სიტყვაში ბევრი იმისთა ალაგებია, რომელიც მე შემძლიან უყუარადღებოთ დაესტოვო, ამისთვის რომ ამით გამტყუნებას არაფერი არ დააკლდება. თქვენ იცით ამ პროცესის გარემოება: იცით ვისკენ არის ჭეშმარიტება: დამცველის თუ გამამტყუნებელის მხარეზედ? მაგრამ დამცველის სიტყვაში არის ერთი ადგილი, რომლის გამოც მე უნდა წარმოვსთქვა რამდენიმე სიტყვა; მე ვამბობ ადვოკატისაგან მოყვანილს რუსის კანონიდან მუხლებზედ და იმ ცირკულიარებზედ, რომელიც რუსის მთავრობამ პოლმაში გამოსცა. ამ საქმეს მნიშვნელობა აქვს და ამისთვის არ შეიძლება ამას ყურადღება არ მივაქციოთ. რუსული კანონები? მე იმათი ქება ფიქრათაც არა მქონია და არაოდეს არ გამოგონია, რომ ვისმეს გემართლებინოს საფუძვლები, რომელიც თქვენდამი მოხსენებულს მუხლებში მიღებულია. მაგრამ ჩვენ მინც უნდა ვიკითხოთ: ეს რომელი კანონებია? ჩვენ რომ კანონები წავიკითხვს, ისინი ძველი სჯულებისაგან ხომ არ არიან მოყვანილნი, და ეხლა თავის მნიშვნელობა ხომ არ დაუკარგავთ? ამ შემთხვევაში რა არ ითქმის იმ კანონების აზრზედ და იმ დროზედ, როდესაც ისინი გამოცემულან. მე გამოტეხით ვიტყვი, ერთათ დამცველთან, რომ ამ კანონებში მიღებული საფუძველი შებრალებას დირსია. მაგრამ ჩვენ რუსეთში არა ვართ და ამისთვის რუსეთის სჯულ-დება არ შეეხება ამ პროცესსა. ზემოთ მოხსენებულს ცირკულიარებში მოყვანილნი არიან საშუალებანი, რომელიც ხმარებულნი იყვნენ პოლმის არეულობის მოსასპობლათ. მე არ ვამბობ, რომ არეულობა სასტიკის ზომით არ იყო მოსპობილი, მაგრამ არც ეს შეეხება ნაფიცების გასამართლებას. ჩვენ უნდა გადაწყვიტოთ საქმე, რომელიც უფრო მარტივია. მთქვათ, რომ რუსეთში სხვა და სხვა სასტიკობაა, ვთქვათ, რომ პოლმის არეულობა მოსპობილი იყო ძალიან სასტიკის ზომითა, განა ეს ნე-

ბას აძლევს პირველ მოსულს მოლინის მცხობრებს მიმართოს თავისსა და მისი მხარე-თაღს; და ამ სამართლის გადაწყვეტილობის ძალით თავისს ხელმწიფეს დამბაჩა ესროლოს, და ამის შემდეგ თავი იმართლოს სამშობლოს სახელით? მანვიხილოთ ეს საქმე: სად მივიყვანს ამ გვარი თეორია და რა უნდა ვიფიქროს ბოლიტიკურის დანაშაულობის სახელით, თუ კი იმისი გამართლება შეიძლება საპოლიტიკო გულის — თქმის და უკიდურესის პატრიოტობის აღძვრითა? მართლმსაჯულობას არ შეუძლიან მიიღოს რამე ბოლიტიკურის კაცის — კვლის გასამართებლათ. პოლიტიკური კაცის — კვლა იმოდენათ უაზროა, რომოდენათაც საზიზღარია. შაზროა, ამისათვის რომ თუ ის ასრულდა, იმისი მომქმედი ძვირათ თუ დაინახავს იმ იდეების ასრულებას, რომელთათვისაც დანაშაულობა მოახდინა; უფრო ხშირათ ის არა თუ ასუტებს, არამედ აძლიერებს ბოროტებას. და თუ ის აღსრულებას არ მოვიდა, მაშინ მთელი საზოგადოების სიმათია იმისკენ მიილტვის, ვისი სიცოცხლეც საშიშარს მდგომარეობაში იყო. თქვენ კარგათ იცით, საზოგადოებამ რანირი თანაგრძობა გამოუცხადა რუსეთის იმპერატორს დამბაჩის სროლის შემდეგ. ეს კიდევ ცოტაა. პოლიტიკურს კაცის-კვლას უფრო დიდი შედეგი აქვს, მინამ ჩვეულებრივს კაცის-კვლას: თქვენ ამაში დარწმუნდებით, როდესაც თქვენს თავს ჰკითხავთ, თუ რა მძიმე დანაშაულობა იქმნებოდა, რუსეთის იმპერატორი ბერეზოვსკის ხელით რომ მომკვდარიყო. ეს კაცის-კვლა არამც თუ მარტო საზოგადო ხალხის აღწვთებას აღძრავდა, არამედ თვითონ შრანცია დიდს პასუხის-გებაში ჩავარდებოდა და ეს კაცის-კვლა მთელის ჩვენის საზოგადოების უზომოთ საკიცხელი შეიქნებოდა. დანაშაულობიდან თვით დამნაშავესაგან გადვიდეთ და გაფიქროთ, თუ რა ნიარს მძიმე პასუხის-გებას მიეცემოდა ისა. რა უნდა ვიფიქრო, იმ პირზედ, რომელიც თვითონვე გადუქრის სამართალს და დასჯის კაცს, რომელიც თავისის მამულის უბედურების მიხეზი ჰგონია? მან ეს კაცის უაღრესს ამპარტანობაზედ მეტი არ არის? თუ გინდათ, პასუხი მისცეთ თქვენი მამულის მტერსა, იმოქმედეთ ცხადათ, ააღვლეთ თქვენი თანამემამულენი, ეცადეთ ყველანი ერთათ მტერს შეგვინ, მაგრამ ნუ იქთ ჩუმს კაცის-კვლას. ამასთან ესეც ვიკითხოთ ჩვენს თავს: განა ახლა დრო არის, რომ პოლიტიკური შურისგება აღძრას? შეაღწე ნაფიცო! მიაქციეთ თქვენი გონება იმ კიდევებს, ოკეანეს გაღმა, რომელთაც რამდენსამე წლის წინათ მიადგა ახალგაზდა ვაჟკაცი პრინცი, რომელიც თავისს ახლს მამულში მშვიდობის და განათლების ნერვი მიიტანა. თქვენ იცით, თუ როგორ დაიღუპა ისა. ის დამარცხდა არამც თუ მანვილით, არამედ საზიზღარის ლალატობით. როგორ მოექცნენ იმას? ისიც სამართალში მისცეს, ვითომც პოლიტიკური დანაშაულობა მოეხდინოს, და შემდგომ უპატიურათ დასაჯეს. და ეს საშინელი ბოროტ-მოქმედება იმათ უნდათ გაამართლონ პოლიტიკურის საჭიროების მოთხოვნილებით. არა, უფალნო, ამ გვარი საქმეები ვერაფრით ვერ გამართლდებიან. ახლა გაათავოთ, უფალნო ნაფიცო! აღამაღლეთ თქვენი გონება იმ უმაღლეს სულის საწყაფელოში, სადაც ამ გვარი იდეები საშუალოთ განკიცხულნი არიან, და გახსოვდეთ, რომ თქვენ დიდი დამნაშავე უნდა დასაჯოთ და ხალხს დიდი მაგალითი უნდა უჩვენოთ.“ ამ უკანასკნელის სიტყვების წარმოთქმის დროს უფ. არაგამ წამოსდგა თავისის ალაგიდან და მისცა შემდგომი პასუხი: „უფ. ნაფიცო! მე ფრიად ვაკვირებულნი ვარ უფ. გენერალ-პროკურორის უკანასკნელის სიტყვებისაგან, რომლებითაც იმან დამნაშავეს გამტყუნება გაათავა. იმან მიხეზა, რომ თქვენ

ყურადღება არ უნდა მიაქციოთ არც ასაკს ამ ახალგაზრდას, რომელსაც მე ვიცი თქვენს წინ, და არც მიზეზებს, რომელთაც მოამბე მდებარის იმას ბოროტი საქმე, რომლებშიც ამტკუნებენ; მაშინ როდესაც ესენი შეადგენენ გამართლების თავს საბუთებს პროცესში, რომელსაც თქვენ განიხილავთ. ამას გარდა, რა უნდა ვიფიქროთ იმ შედარებაზედ, რომელიც ეწეოთ თქვენ გაიგონათ. თქვენ გეუბნებიან მიაქციოთ ყურადღება შორეულს და უცხოს მხიარულს ქვეყანას, რომელიც აქედამ ოთხი ათასს მიღწევდა არის, და უნდათ ბერეზოვსკის დასჯით ხუარეს შური—მიავგონ მაქსიმელიანეს მოკვლისთვის. ეს რათ უნდა გაიხსენოთ და ამ გვარი შედარება რისთვის უნდა მოვახდინოთ. მეც შემძლე მომიყვანა შედარება, მაგრამ თავი დავიჭირო. მე არ მინდოდა მეთქვა თქვენთვის მურატის მოკვლა; საკმაო იყო მომგონებინა თქვენთვის, რომ იმპერატორმა ალექსანდრემ I-მა უხვად დაასაჩუქრა კურირი; რომელმაც მოუტანა იმის დახვედრის ამბავი. ღვაწლათ ამას თავი და ისევე ჩვენს პროცესს მუბრუნდეთ. მაგრამ მეტი რაღა უნდა ესთქვა? მე გიხსენებ თქვენ ყოველისფერი, რასაც გუჯი მუბრუნებდა ამ უბედურის ახალგაზრდას სასარგებლოდ. მახსოვდეთ, რომ მე გითხარით თქვენ ამის ახალ-გაზრდა, ამის სახლობის უბედურება, ამის ხასიათი, ამის აზრები და ამის სამშობლოს უბედურება და მერმე გადაწყვიტეთ ამის საქმე. ამბობენ, რა უნდა იყოს ბერეზოვსკის სული შედარებით რუსეთის იმპერატორის სულთან? მე იმათ ამას ვეტყვი, რომ ერთი სული არაფრით ნაკლები არ არის მეორეზედ. ამისთვის რომ ყველა ჩვენი სულები მშობი არიან. ბერეზოვსკის აქვს კეთილშობილური, სწორი და სულგაძელი ხასიათი. ამგვარი კაცი არ უნდა განიდევნოს საზოგადოებრივად, ამისთვის რომ ეს სრულებით წინააღმდეგი იქნება იმისა, რაც თქვენ იმაზედ იცით, იმისა, რაც თქვენ იმაზედ გითხარით, იმისა, რაც არ იძლეოდა თქვენ თავთ არ გეთქვათ, და იმისა, რაც თქვენ ფიქრობთ და რასაც დასწერთ თქვენ საქმის გადაწყვეტილობაში.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა ჰკითხა ბერეზოვსკის: შეგიძლიათ რამე სთქვათ თქვენ თავის გასამართლებლათ?

— ბერეზოვსკი. მე მხოლოდ ეს შემძლიან ვსთქვა თავის დასაცველათ, რომ შრანცია მუდამ ჩემი მეგობარი იყო.

მერე პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ საქმის განხილვა გათავდა, და მოკლეთ გამოხატა იმისი გარემოება. მესუთე საათის ოცი მინუტი იყო, როცა ნაფიცებმა წარმოასრულეს თავისი გადაწყვეტილება. ნაფიცების თავმა გულზედ ხელი დაიდვა და ესა სთქვა: ნაფიცების გადაწყვეტილება ყოველს კითხვებზედ წარმოთქმული არის წმინდის სინდისით, ღვთისა და კაცის წინაშე. ამას იმან დაუმატა, რომ უმეტესმა ნაწილმა აღიარა ამ საქმეში გარემოებანი, რომელნიც დამნაშავეს დანაშაულობას შეამსუბუქებენ.

ამ გადაწყვეტილობის წარმოთქმის შემდეგ სამსჯავროს ზალაში შემოიყვანეს დამნაშავე, რომელიც წინათ იქიდგან გაყვანილი იყო. რეგისტრატორმა წაუკითხა იმას ნაფიცების გადაწყვეტილება. დამნაშავემ ეს გადაწყვეტილება გულგრილად მოისმინა. მაშინ გენერალ—პროკურორმა წინადაუდგა მსაჯულებს, რომ დამნაშავეს სასჯელი განუსაზღვრონ.

პრეზ. ღამცველო, გაქვთ რამე სათქმელი შესახებ სასჯელის განსაზღვრისა?

პრაგო. (აღგება თავისი ადგილიდან და ღრმად აღლევებულის და მითრთლარის ხმით იტყვის) მართი სიტყვა, უფალო პრეზიდენტო, დამნაშავე მხოლოდ ოცის წლისაა. (პუბლიკა ღრმად შეკრთება).

პრეზ. დამნაშავე, თქვენ გაქვთ კიდევ რამე სათქმელი?

ბერეზოვსკი. არაფერი, უფ. პრეზიდენტო. შემდგომ მსაჯულები მეორე ოთხში გაიღწენ საქმის გადაწყვეტათ და რამდენსამე მინუტის უკან ისევ დაბრუნდენ. პრეზიდენტმა წაიკითხა განაჩენი, რომლის ძალითაც დამნაშავე საკატორგო სამუშაოში უნდა გაიგზავნოს და იქ სიკვდილამდის დარჩეს.

ბ ე ლ ე ბ ა ვ ე მ ე ბ ი,
პეტერბურგში მიღებული.

ფლორენსია, 21 ივლისს (2 აგვისტოს). აქაურს გაზეთებში სწერენ: კიდევ ემზადებიან, რომ რომში სარეგულირებელი მოძრაობა ჩქარა მოხდეს.

ათინა, 20 ივლისს (1 აგვისტოს). აქ ძანდიის კუნძულიდან მოვიდა ცნობა, რომ განდგომილები გამაგრდნენ სფაკიაში ომერ ფაშის თავს დასხმის დროს. ოსმალოს ჯარი იძულებული იყო ასკუფიის ქალები დეტოვებინა, რადგანაც იმათ საქმელი და სასმელი შემოაკლდათ. სფაკიის, რეტიმოს და ლერაკლიონის მახრებში სრული ხალხის ადგომა არას.

პორტუ, 21 ივლისს (2 აგვისტოს). საბერძნეთის მმართველობამ გადაწყვიტა, ყოველის ღონისძიებით შეეწიოს ძანდიის ადგომას. ამისთვის იმან შეკრიბა რეზერვები და სხვა მზადება მოახდინა ომისათვის. თუ ძანდიის საქმე ამ წლის სექტემბერში არ გადაწყვედა, საბერძნეთი ოსმალეთს ომს გამოუცხადებს.

ლონდონი, 22 ივლისს (3 აგვისტოს). თუ—ორკიდგან ამბივი მოვიდა, რომ გენერალი მსკობელო მენიკის არმიის თავსარდლათ დაინიშნა.

ბენერალმა პორფირ დიაცკამ ბძანება გასცა, რომ დაატყვევონ ყველა უცხო ქვეყნის სალიბლომატო აგენტები, რომელნი მხიარულს რესპუბლიკათ არა სთვლიან.

პოსტანტინოპოლი 18 (30) ივლისს. (აღვსით). რუსის ელჩმა გენერალ-ადუტანტმა იგნატიევმა პორტას მოსთხოვა, რომ ომერფაშას ახალი ინსტრუქციები გაუგზავნოს; ამასთანავე იმან მისწერა რუსის კაპიტანს ბუტაკოვს და რუსეთის კონსულს ძანდიის, ღვინდინოს, რომ იმათ ოსმალების უფროსების თანხმობით ძანდიიდან გამოიყვანონ კანდიელების ოჯახები, რომელნიც გამოკვებულენში არიან დამწყვედელნი.

14 (26) ივლისს. მოსტანტინებოლში ძანდიის კუნძულიდან მოვიდა ტელეგრაფმა იქაურის რუსეთის, შრანციის, პრუსიის, ანგლიის და იტალიის კონსულებისაგან, რომელშიც სწერია, რომ ოსმალებმა გაანთროსო ქრისტიანების ხოცვა კუნძულის შუა ადგილებში და ოსმალების უფროსებს არ შეუძლიანთ ამ ბოროტების მოსპობა.

ამის გამო რუსეთის და შრანციის ელჩებმა მოსტანტინებოლში ურთიერთის თანხმობით ტელეგრაფით მისცეს ბძანება თავიანთი მმართველობის სამხედრო გემებს, რომ იმათ დაიწყონ ძანდიიდან ოჯახების გადაყვანა საბერძნეთში. ამასთანავე ორივე დიპლომატებმა ეს საქმე პორტას წერილთ შეატყობინეს და მისგან მოითხოვეს, რომ ამ საქმეში იმათ განკარგულებას შემწეობა აღმოეჩინოს. იტალიის და პრუსიის ელჩებმა ამ საქმეში რუსეთის და შრანციის ელჩების მხარე დაიჭირეს.

ძანდიის კუნძულიდან მოვიდა ამბავი, რომ ოსმალოს აღმირალმა ძალით წაართვაო ამერიკის კონსულს ძანდიის წიგნი, რომელიც რუსეთის კონსულმა, ღვინდინომ, იმას მისწერა. ამერიკის ელჩმა მოსტანტინებოლში პროტესტი გამოაცხადა ამ გვარს ძალდატანებაზედ.

საშუალო აზიაში მოგზაურობა.

III.
ღიღი გაჭირების შემდეგ მამბერი მივიდა

ბუხარაში. ის არის ბუხარის სახანოს (სახელმწიფოს) სატახტო ქალაქი. როგორც ზევით ვთქვით, სირდარიასა და ამურდარიას ნაპირებზე ძველიდგანვე დაფუძნებული სამი სახანოა. ბუხარისა და ხივის სახანო ამურდარიას ნაპირებზე, ძოკანისა კი სირდარიას ნაპირებზე. ამ სამი სახანოს მცხოვრებლებს შეადგენს ერთი ტომის ხალხი, რომელთაც ეწოდებათ უზბეკები. ისინი არიან მიწის მომუშავე. მრავალი ქალაქები და სოფლები ჩაუყვება იმ ორ მდიდარს ნაპირებზე. იქ ბლომით მოდის ბრინჯი და ყოველი გვარი მშვენიერი ხეხილი. ნესვი და სახანორო იმისთანა არსად იბრუნება.

ბუხარა ირიცხება მთელი თურქისტანის დედაქალაქად. როგორც განათლებულს ქვეყნებში პარიზი და ლონდონია, ისე ბუხარა მთელ სათურქმენოში. ამ ქალაქში მოასკდება ხოლმე სხვა და სხვა ტომის მწაწა ხალხები, რომელნიც კი მთელს თურქისტანში ცხოვრობენ. ისინი აქ ყიდულობენ აქრელეხულს ჩითებსა და სამალაჯას. თუ აბრეშუმის კაბებს და შალერებს ხმარებაში შრიალი გაუღდის, ეს იმათ ძალიან მოსწონთ. უნდა წარმოიდგინოთ რა რიგი სიცილით და კბილების-ხეხით სიამოვნობს კირგიზელი, როდესაც თავის ცხვრის ტყავს გამოიცვლის და ქარვასლაში შეიმოსება ახალ-წყაიდი შრიალი ტანისამოსითა. ამ ქალაქში კაცი შეხედება კირგიზელსაც, თურქმენსაც, უზბეკსაც, თავისაც ინდოეთელსაც, ჩინეთელსაც და ურიალსაც. კირგიზლები არიან თათრის ტომის ხალხი, რომელიც ცხოვრობს თურქისტანის ჩრდილოეთით, სიმბირის საზღვარზე. სარწმუნოებაშიც ბუხარას პირველი ადგილი უჭირავს. ხალხის ფიქრით, ბუხარა არის სვეტი სუნტების სარწმუნოებისა. ღვთისმშობის ხალხზე დიდი გავლენა აქვთ. ისინი წუწუ ძაღლებსავე დაეთრევიან ყოველგან, ხელში კატის კუდი უჭირავენ და ყოველს გამლელს და გამამლელს მოუწოდებენ გამოსაცდელათ. მაი იმ კაცს, ვინც თავის სარწმუნოების მიღებულს წესს ვერ ასრულებს რიგაინათ! თუნდ მოხუცებული იყოს, თუნდა ყმაწვილი, იმას მაშინვე გაგზავნიან რამოდენიმე ხნით ან მეტრეხებში (შკოლებში) და ან მეტრეხებში მოსაწაწებლად. ამ გვარი დატუსალება რომ ზოგს ძალიან ავნებს ოჯახობაში და მუშაობაში, იმათ ამის დარდი არა აქვთ. „შორიდგან რომ შეხედოთ ამ კაცებს, თავმოხრილებს და ხელში კატის კუდებით, გგონებათ, მეტად გულწრფელ თვისებისანი უნდა იყვნენო; მაგრამ ახლოს რომ დააკვირდეთ, იმავე წამს შეიტყობთ, რომ ბევრს იმათგან სთვლენს და ხერხინავს, როგორც ძაღლებსა, რომელნიც დაქანტულან ნადირობის შემდეგ. მაგრამ ტყუილათ ნუ იფიქრებთ იმათს გაიკვხას! ბუხარელები მაშინვე გეტყვიან: „ეს კაცები ძილშია ცემრთზე და იმის უყველობაზე ფიქრობენო“. რელიგიურს რწმუნებას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და მმართველობაზე. თვითონ ოჯახებშია კი შედგებიან ხოლმე ემირის შიონები და ვაი იმას, ვისაც სარწმუნოებაზე და ემირზე (ხელმწიფოზე) რამე დასცდება. დიდი ხნის შევიწროებას ხალხი ისე შეუშინებია, რომ ქმარი და ცალი, ისე ვერ გაბედავენ ხელმწიფის ხსენებას, თუ ზედაც ეს სიტყვები არ დაუმატეს: „ღმერთმა ას ოცი წელი აცოცხლოს“. მსეც უნდა დაუმატო, რომ უბედურს ხალხს თითქმის სრულებით დაჰკარგია თავის ხელმწიფის სიძულილი, რადგან ასე ჰგონიათ, რომ შეუბრალებელი ყოფიქვეყა ყოველი ხელმწიფის თვისებააო. ახლანდელმა ბუხარის ხელმწიფის მამამ, ემირმა ნასრა-ულლამ უკანასკნელს დღეებში იმდენი უმეზავსოებად მიაწვია, რომ ბიჭურებისთვის სიკვდილით დასჯიდა ხოლმე; თვითონ კი ყოველად უსინდისოდ შეურაცხ-ჰყოფდა თავის ქვეშევრდომის პატიოსნებას. ცოტანი დარჩენილან ბუხარაში რომ ამ ხელმწიფეს არ გა-

ეუბათიერების, მაგრამ ერთსაც არ გაუწიერებია ენა, რომ ყველასი შემწიერებენ უმეზავსო ფიფე გაეკიცხოს.

როგორც კი ქარავანი შევიდა ბუხარაში, იმავე წამს ხმა გაეგრა, რომ მოსტანტინებოლიდან ერთი ძალიან მსწავლული ეფენდი მოვიდაო წმინდა ადგილების თავიანთ-საცემლოთ. მინც კი შეხედავდა მამბერს, რომელსაც თავზე ძალიან გძელი დოღბანი (ჩაღმა) ენებია, ყველა ასე იძახდა: „მკ, რა წმინდა კაცი უნდა იყოსო ეს პილიგრიმში, რომ სტამბოლიდან აქამომდე ამდენი გზა გამოუვლიაო ბუხარის წმინდა ადგილების თავიანთის საცემლად. როგორც ნამდვილს ეფენდს შეეფერება, მამბერი მაშინვე თათრის მონასტერში შევიდა და ხალფას (მონასტრის უფროსს) გამოეცხადა. მს კაცი იყო კეთილი გულისა. იმან მისცა მამბერის საუკეთესო ოთახი მონასტერში საცხოვრებლად. ხალფას გაცნობა მამბერისათვის კიდევ მით უფრო კარგი იყო, რომ ის მღვდელ-მონაზონი და შინა მოძღვარი იყო ემირის სახლში. იმას იქ ძალიან პატიეს სცემდნენ. თვითონ მამბერიც იმედოვნებდა, რომ იმის შემწეობით ემირსაც გაცნობდა. რაკი სამღვდლოებამ შეიტყო მამბერის მოსვლა, მაშინვე თავს დაეცა და გზირები (შიონები) შეუჩინა ახალ მოსულს ეფენდას. ბუხარის სამღვდლოება რომ გაგიჟებულია თავის სარწმუნოების წესის დასაცველად, ისე არც ერთს მაჰმადიანის ქვეყანაში არ არის! აქ სასულიერო წოდებას მთელი ხალხი ხელში უჭირავს და გაცოტოვანებულენსავე დაწაწალებენ ხალხში, რომ იქ სხვა აზრი არა შეიპაროს რა. შოველი ახალი აზრი სიკვდილით ეჯავრებათ. შორანისა და მაჰმადიანისა მამების დაწესებულებების მეტი არა სწამთ რა, და არც უნდათ, რომ სხვა რამე ხალხს შეატყობინონ. მეროველი ძალიან სძულთ და, თუ სადმე ხელში ჩაიგდეს, ვაი იმის დღეს! წუთის სოფელს გამოათხოვებენ! თუმცა და მამბერი, როგორც ეფენდი, ისე იყო გამოწყობილი, და, თუმცა როგორც ნამდვილი თურქმენი თათრულს ისე ლაპარაკობდა, მაგრამ ღვთისმშობის (თათრის მონაზონებს) მიანც ვინმე შემოპარული ფრენგი ეგონათ და ამის გამო სარწმუნოებაში გამოცდა დაუწყეს. მამბერიმ ზედმიწევნით იცოდა ყო-რანიც და ყველა მაჰმადიანის სჯულის დებულებაც. ბამოცდით რომ ევრა მოუხერხეს რა, მერე ფრენგებზე (ევროპელებზე) გამოკითხვა დაუწყეს, იქნება რამე დაცვინათ, მაგრამ მამბერიმ კარგათ იცოდა იმათი ეშმაკობა და ამისთვის მიუგებდა ხოლმე ამ გვარ სიტყვებითა: „სტამბოლიდან აქეთკენ იმისთვის გამოვიქცეო, რომ ეშმაკის საფრთხე—ფრენგების სახე არ დამენახაო; ახლა, მაღლი შხენაესს, რომ სიკეთით სასეე ბუხარაში ვიმყოფები; და ჩემ გულს როგორღა გაეაბილწებ იმათი მოგონებითო“. ცოტა ხანს შემდეგ მამბერი თვითონ რანმეტებმ (ემირის ვეზირმა) დაიბარა თავის სახლში. მამბერი გრძნობდა თუ რა ცეცხლი უმზადებოდა და რაც ღონე და ხერხი მოსდევდა, პასუხიც ისე დაამხადა. მამბერი, როგორც კი დარბაზში შევიდა, ღვთისმშობიც იმასთან გუნდათ შეეგრაილდნენ. რომ იმათი მზაკვარი კითხვებისაგან თავი ესნა, მამბერმა თავი მოიუმეცარა და გულ წოფელობით გამოჰკითხავდა თვითონ ღვთისმშობის, როგორც სარწმუნოებაში სათნო მაჰმადიანს შეეფერება:—რათი განიჩივებიაო ერთი ერთმანეთისაგან ეს ოთხი რელიგიური რწმუნება: ფარზი, სუნნეტი, ვაჯიბი და მუსტახაბი. (*) ამისთანა კითხვამ ღვთისმშობი სრუ-

(*) შარზი, სუნნეტი, ვაჯიბი და მუსტახაბი არიან ოთხი ხარისხი ისლამის მცნებისა. შარზი შეიცავს იმ ცნებას, რომელიც წინასწარმეტყველის პირით პირდაპირი გადსცა ღმერთმა მაჰმადიანებს, სუნნეტი შეიცავს მცნებას, რომელიც თვითონ წინასწარმეტყველმა დასტოვა. ვაჯიბი და მუსტახაბი კი ეწოდება იმ დავებულებებს და წეს-დებებს, რომელნიც ყურანის შემდგომ განმარტებლებმა დააწესეს.

ლებით დაარწმუნა, რომ მამბერი მართლაც მართლ-მორწმუნეა და ამას შემდეგ თავი დაანებეს.

ბუხარაში ისლამის სარწმუნოების სასწავლებლები ბევრია. ეს სასწავლებლები სულ ხალხის ხარჯზე; გადმოვსწვრთ რამოდენსავე ცნობას ხივის შეკლების შემოსავალ-გასავალზე, რომელიც განაწილებული აქვს ხალხს წლას ხარჯათ. როგორც ბუხარაში, აგრეთვე ხივაში სასწავლებლები ბევრნი არიან. ხივაში იმყოფება ერთი სასწავლებელი, რომელსაც ეძახიან მედე-მინ-ხან-მედრესისა. ამ შეკლაში ირას სამოცი შეგირდია. ის წელიწადში იღებს სარჩოდ თორმეტ ათას ბათმანს ხორბალსა და ათას ექვსას ოცდა ხუთ თუმანსა ან იმათებურად ხუთი ათას ტილსა.

აი როგორ განაწილდება ეს შემოსავალი ამ შეკლებში.

ბათმ. მან. კაბ.

5 ახონდი (მასწავლებელი)	იღებენ წელიწადში	—3000—450—75
1 იმამი	—	—2000—120—75
1 მეუძინი, რომელიც	ლოცვაზე მოაწოდებს	—200—”—”
2 მოსამსახურე	—	—200—”—”
1 ღალაქი	—	—200—”—”
2 მუტტევალი, ან ზედამხედველი	იღებს შემოსავლის ათის თავს; დანარჩენი განიყოფება მოსწავლეებს შორის, რომელნიც არიან სამი სხვა-და-სხვა რიგისანი.	

ბათმ. მანეთი.

1-ლი კლასისა	იღებენ	60—10—40 კაბ.
2-რე	—	—30—5—20
3-მე	—	—15—2—40.

უნდა ესთქვათ, რომ თურქისტანის ხალხი განათლებით ჩვენზე ბევრად უფრო დაბლათ სდგას; მაგრამ ჩვენი მზრუნველობა განათლებას და იმათი რომ ერთმანეთს შევადაროთ, უნებურათ თვალბრუნებელი უნდა მივხედოთ და სირცხვილთ უნდა წარმოვსთქვათ, რომ ამ ევლურს ხალხს უფრო დაუნახავს განათლების სარგებლობა, მიწამ ჩვენ ჩვენ არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ერთი სახალხო სასწავლებელი გვეკონდეს, რომელიცაც ჩვენი შეილები სწავლობდნენ ჩვენებურათ. თურქმენისთვის ერთი ბათმანი ხორბალი იმდენათ ღირს, რამდენათაც ჩვენთვის ათი ბათმანი. მაგრამ ყმაწვილების გასაზრდელათ საკუთარს სჯულზედ ერთი პატარა ხივის სახანო მართო ერთ შეკლას ყოველ წლებით თორმეტ-ათასს ბათმანს ხორბალს სწირავს, მაშინ როდესაც მთელს საქართველოში, მე მგონია, ერთი ბათმანიც არ იხარჯება ამავე განზრახვისათვის. ან ეს რათ დიხარჯება, რომ სულაც არ არის საკუთარი სახალხო სასწავლებელი!... მაშინ როდესაც მხოლოდ ამისთანა სასწავლებელს შეუძლიან ხალხი წინ წასწიოს და ძირი მაგრათ დაუდგას. ამ გვარი სასწავლებლის დაფუძნება თვითონ ხალხის საქმეა და, თუ ის მოიწოდნენ თავის ენაზედ სასწავლებლების დაარსებას, წინ არავინ არ დაუდგება ამისთანა კეთილს საქმესა. მაგრამ ჩვენი უბედურება ეს არის, რომ არავის თავში არ მოსდის ამისი აზრი და ვერც არავინ ხედავს ამისთანა საქმის სარგებლობას. ამ შემთხვევაში თურქისტანის ხალხს ჩვენზე ბევრად წინ უდგას ფეხი.

IV.

ბუხარადგან მამბერი სამარყანდში გასულა. იმას იქ უნახავს თითქმის მთელი აღმოსავლეთის და დასავლეთის დამპყრობლის და ამომკლელტელის მიმტრ-ლანგის საფლავი. ეს იყო ის მიმტრი, რომელმაც თათრის მანქანა ჯარით მეთუთხმეტე საუკუნეში საქართველოს სისხლის კვალი დააჩინა. აქედან მამბერი გასულა იმ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ხატაეთის ანუ საჩინეთო სათათრეთი. აქ

ცხოვრებს თათრის ტომის ხალხი. მეცნიის უმეტესი ნაწილი ყიზიყელებს უჭირავს. ისინი ძლიერ მამაკი და მარდი ცხენოსნები არიან. შუა საუკუნეებში ძასპის აღმოსავლეთით გამოჩნდებოდნენ ხოლმე დიდი ახოვნების და ქუთის კაცები, რომლებიც თავის მფლობელობის ქვეშ მოაგროვებდნენ ხოლმე მანქანა ხალხებს, მისცემდნენ იმათ სახელმწიფო წყობილებას, და ყირიციხე ცხენოსანი ჯარით გუნდ-გუნდათ გამოცხევდნენ, თითქო ღეთის რისხვა ყოფილიყონ, და მოსწვი-მოღვიდნენ ხოლმე აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე ქვეყნებსა. ამ ხალხში ყიზიყელები ყველაზე უფრო მამაკები იყვნენ.

ხატაეთის სათათრეთს დასავლეთით საზღვრავს საშუალო აზია, აღმოსავლეთით ხატაეთი, სამხრით თიბეთი და შამშირია, რომელიც არის ინდოეთის ნაწილი. ეს ქვეყანა ასოზმოცდა ათი წლის წინათ მოსწყვეტია თურქისტანს, ხატაეთის ხელმწიფეს ბოგდიხანს და მონებია და იმას დაუნიშნავს ამ მხარის გასაგებათ სამხედრო მახრის მთავარი, რომელსაც ჰქვიათ ანბანი. ეს მხარე რამდენსავე მახრათ განიყოფება.

შინაყელები ირჩენენ თავს თულობით და ჰყავთ პირუტყვის ჯოგი, მიწის მუშაობა არასწევიან. შოველს მახრის ქალაქში არის ციხე, სადაც ხატაეთის მმართველები ცხოვრობენ. შოველს მახრის მთავარს ჰყავს ოთხი მდივანი. მართი განაგებს იმ, საქმეებს, რაც მიწერ-მოწერას შეეხება; მეორეს ხელში მახრის შემოსავალ-გასავლის ანგარიშია; მესამე განაგებს სამსჯავრო სამართალს და მეოთხე პოლიციის ნაწილსა.

„ანბანს გარდა მახრშია კიდევ სამოქალაქო მახრის მმართველი, რომელიც ირჩევა ადგილობრივი კაცებისაგან. ანბანსა და სამოქალაქო მახრის მმართველს ერთგვარი ჩინი აქვთ; მაგრამ სამოქალაქო მახრის მმართველი, როგორც ადგილობრივი კაცი, იმდენათ ემორჩილება ანბანს, რომ ყოველის ფერი საქმე ანბანის ხელში უნდა გავიდეს. თვითონ სამოქალაქო მმართველს თავის თავათ არაფერი დიდი საქმის დაბოლოება არ შეუძლიან.

უხენავს მოხელეთ სამსჯავროს ჰქვიათ იამუნ და ყოველ კაცს შეუძლიან იჩივლოს სახელმწიფო მოხელეებზე, რომელნიც ცუდათ ემურობიან ხალხს და მხარეს ცუდათ განაგებენ. სამსჯავროს წინა კარში ძვეს ერთი დიდი ბარბანი. შოველს მოჩივარს ნება აქვს დაჰკრას ერთჯელ, თუ რომ უნდა მდივნის ნახვა და ორჯელ, თუ ანბანის ნახვა უნდა. მწუხარების ხმას ყოველთვის გაუგონებენ ხოლმე, დღისით, ღამით, ზაფხულ და ზამთარ და ძალიან ძვირად მოხდება ხოლმე, რომ რომელიმე თხოვნა უყურადღებოთ დარჩეს, მე მგონია, მერობაშიც რომ შემოიღებდნენ ამისთანა ბარბანს ზოგიერთ მიწინარა მოსამართლენბისთვის ცუდი არ იქნება.“

ჩინეთის სათათრეთიდან მამბერი მეორეგზით უკან დაბრუნებულა. ის გასულა ბელუჯისტანში, რომელიც არის სპარსეთის მოსამზღვრე სახელმწიფო. ამ სახელმწიფოზე ანგლიის მთავრობას დიდი გავლენა აქვს. ახლა იქაურს ხელმწიფეს ჯარი ევროპულ რიგზე ჰყავს გაწყობილი; სახელმწიფო მოხელენიც თითქმის ყველანი ევროპულათ იცნენ. თუმცა გარეგანი სახე მერობის დასდებია ამ სახელმწიფოს, მაგრამ შინაგანი კი ერთი ბეწეაც არ შეკელილა. შამგობა და სამართალი, როგორც უწინ ყოფილა, ახლაც აგრეთვე შეუწყალბელია. შინ წარმოიდგენს, რარიგი მწუხარებით მოიგონებს ხოლმე მამბერი თავის გაცარცვას ერთი ბელუჯისტანელი დამოყნის ჩინოვნიკისაგან. მამბერის ამხანაგები, რომლებსაც ფული არ ჰქონდათ, რომ

ბაყი მიეცათ, სულ დაატრეველა ამ ჩინოვნიკმა, თვითონ მამბერს კი ვირი გაუყიდა. ეს ვირი მამბერისთვის იყო დაუფასებელი მგზავრობაში; თუ ეს ვირი არა, მიუცილებლად მამბერი ვერ განაგრძობდა თავის მგზავრობას. უნდა წარმოიდგინოთ იმისი დღონება, როდესაც ის ქვეითად უნდა მისულ იყო ბელუჯისტანიდან თიბეტთანამდე; ამისთვის რომ დაკონკილ ტანსაცმლის მეტი აღარა მოეცეოდა რა. მამბერი სპარსეთის დედა-ქალაქიდან — თიბეტანიდან მობრუნდა მერობაში.

V.

ახლა მთელ სათურქმენოს რომ მსწრაფლად თვალი გადავაგლოთ, შევნიშნავთ, რომ იქ არის სამი სახანო: ბუხარა, ხივა და ძოკანი. დასავლეთის მხარეზე, ძასპის ზღვისკენ, ცხოვრებს თავისუფალი თურქმენის ტომი, რომელიც გვარ-გვარებათ დაიყოფება, არა ვირთარი წესიერი დაწყობილება არა აქვს, ჰყავს ჯოგი და მუდამ სახლკარიანათ უკან დასდევს თავის ჯოგსა. ჩრდილოეთით რუსეთის საზღვრების მახლობლივ ძირგისის ტომი დაწინაურდება. აღმოსავლეთისკენ, კარგა ხანია, რაც ერთი ნაწილი თურქისტანისა მოუწყვეტია ხატაეთის ხელმწიფეს და კიდევ მიუსაკუთრებია. ზემოხსენებულს სამს სახელმწიფოს ასხია ერთი და იგივე ტომის ხალხი, აღიარებს ერთსა და იმავე ისლამის სარწმუნოებას. არც კლდე და არც ზღვა არ გაჰყოფს ერთერთმანერთში ამ სამს სახელმწიფოსა. თუმც ძოკანის სახანოსა და სხვა ორს სახელმწიფო შუა სამი ან ოთხი დღის სავალი ქვიშიანი ველი იპოვება, მაგრამ ეს განუყოფელ კედლათ მაინც არ ჩითვლება. მართი სიტყვით, იმისთანა ბუნებითი მიზეზი არა არის რა, რომელსაც შესძლებოდა ამ სამი სახელმწიფოს გაცალკეება მოეხდინა და იმათ შორის ჩათესა სიძულელი. შინც კი ყოფილა ამ ქვეყანაში ყველა იფიქრებს, რომ ამ სამს სახელმწიფოს შუა უნდა არსებდეს ერთობა და ძიობა, რადგან ერთი სარწმუნოებისანი არიან და ერთი შთამომავლობისანი. მაგრამ თავიდანვე ეს სამი სახანო მოჰყოლია ერთმანერთში ჩხუბსა და მტრობას. აქამომდე სამივე იმას ცდილობს, რომ ერთმა მეორე დაარღვიოს და თვითონ დაიჭიროს იმისი ადგილი. ამ გაუსხლტელს ბრძოლაში სამნივე უკანასკნელს დღემდე მიხწეულან. „ბუხარასა და ძოკანს შუა მტრობა დიდი ხნიდან არის ჩამოვარდნილი. როდესაც შეიბანის სახლმა თურქისტანის მმართველობა ჩაიგდო ხელში, მაშინ თითქმის მთელი ძოკანი ბუხარის სახანოს შეუერთდა. მხოლოდ ის ქალაქები არ შეერთდებან, რომლებიც ყიზიყელებს ეჭირათ ხელში. რამოდენსავე ხნის შემდეგ ძოკანი ისევ განუდგა ბუხარას და შეუერთდა თავისუფალს ქალაქებსა. როდესაც ეს ქალაქები ჩინეთის იმპერატორმა მიისაკუთრა, მაშინ ძოკანმა ისევ აუტეხა ომი ბუხარას, რადგან აღმოსავლეთელი მტრისა ეწინოდა. ეს ომი მოხდა ჩემს იქ ყოფნაში და იყო იმ ომის შემდეგი, რომელიც ძოკანის ხანსა და ემირ-ნასრულლას შუა აღიძრა.“ ამ ომში ხუთჯერ ააოხრეს ძოკანი და იმის ქალაქები; მაგრამ ბრძოლა მაინც კიდევ არ დაწყნარებულა, ნასრულა რომ მოკვდა, იმის მემკვიდრეებმა განაგრძეს იმისგან დაწყებული კეთილი საქმე. მანსაკუთრებით ერთი ბრძოლა შესანიშნავი ამ გაუთავებელს კელა ხოცვაში, რომელიც ჩვენს უბედურს წარსულს დროებას ბევრით მიემგზავსება. ბუხარის ემირის მემკვიდრემ ისევ განაახლა ომი და მთელი ძოკანის სახანოს დაპყრობა უნდოდა. „ძოკანელებმა იცოდნენ ახალ გავდა ემირის განზრახვა და იმისი სიფულ ხარბე; ამისთვის ისინი თავგანწირულებით დაუხდნენ. დიდმა და პატარამ სულ ყველამ ხელში იარაღი აიღო; მაგრამ მთელი

ძოკანი ჩინეთამდის მაინც ემირმა დაიპყრო. მეტად ძლიერი წინააღმდეგობა ყიზიყელებმა გამოიჩინეს. იმათ წინააღმდეგობამ დატყვევებულა. შინაყელებს დაეცნენ თურქმენები და იმათ შორის ბრძოლა ძალიან საინტერესო იყო; ამისთვის რომ აქ ორი მეტად ველური და ახოვანი ხალხი ერთმანეთს შეება. როცა ალემ-ყული მოკლეს, მაშინ იმის ცოლი გახდა ჯარის სარდლათ. ომი დიდ-ხანს გაგრძელდა და ბოლოს ორივე მხარე შერიგდნენ. ძოკანის სახანოდგან მძღვევლმა ყველა ზარბაზნები გამოიტანა. რაც სამხედრო იარაღი იყო, ყველა ბუხარას გაგზავნა და სახანო ორ ნაწილად გაჰყო. ძოკანი ერგო შახმურადს, რომელიც უყვარს ყიზიყელებსა და ხოჯენტი ხუდაიარ ხანსა.“

(დანარჩენი იქნება).

რამდენიმე სიტყვა დრამაზე „მაიკო“

„დროების“ 21 ნუმრის სტატიაში „მართული წარმოდგენა ტიფლისში“ უფ. ავტორი ამტკიცებს, რომ დრამა „მაიკო“ არ არის დაწერილი თ. ბ. მრისთვისაგან, და მერე 27 ნუმ. უფ. ნ... შეილი მიჰყვება იმ აზრს, რომ შეიძლება, იმის დაწერილი იყოსო. მე უნდა გამოვაცხადო, რომ დრამა „მაიკო“ არ არის დაწერილი და არც ნათარგმნი თ. ბ. მრისთვისაგან.

ის არის შეთხზული რუსის მწერლისა ნ. ბეკლემიშევისა (*) 1847 წელსა. მე დიდათ მიკვირს გამოამცემელისაგან შეცდომილება, რომ ეს პიესა თ. ბ. მრისთვისაგან თხზულაში არის დაბეჭდილი. მატერიალებში, რომელნიც მე გავუგზავნე, არ არის ეს პიესა. მსეც უნდა ესთქვა, რომ „მაიკო“ არ არის გარდაკეთებული, სტრიქონ-სტრიქონ არის ნათარგმნი და რუსულ დრამაში მოქმდნი პირნი იმ სახელებით არიან, როგორც ქართულში. მართხელ მე მქონდა ლაპარაკი ქართულ პიესებზე ქართველ აკტიორთან, რომელიც თ. ბ. მრისთვის დროს ტრუპაში ერიდა და იმან მითხრა, რომ დრამა „მაიკო“ არის ნათარგმნი უწინდელის აკტიორისაგან, უფ. ბ. ჯაფარიძისაგან. არ ვიცი, ეს მართალია თუ არა? რაც უნდა იყოს, კიდევ უნდა ესთქვა, რომ ეს დრამა თ. ბ. მრისთვისაგან არც დაწერილია, არც ნათარგმნი. მიმეორებ, რომ ის შეცდომით არის დაბეჭდილი თ. ბ. მრისთვის თხზულაებში.

ღვით ბიორგის ძე მრისთავი.

21 ივლისს 1867 წ.

მდესსა.

კარგობითი განცხადება.

პრუსიიდან მოსულს, განათლებულს კაცს, რომელსაც კარგათ აქვს ნასწავლი ეკონომია და სოფლის მეურნეობა. მსურს მიწა იქირავოს შესამუშავებლათ. შინც მიწის ქირით გაცემას ისურვებს, იმას სთხოვენ თავისი პირობა „დროების“ რედაქციას შეატყობინოს. თვითონ მიწის დაქირავების მსურველი სცხოვრებს რიყენედ, უფ. მერკანტალების სახლში, ტფილისში.

რომელიც შორაანის უეზლში დებულების ოქმებს ადგენდა, ის უცხადებს მუთისის გუბერნიის მიროვის პოსტდენიკებს, რომ იმას მსურს კიდევ მიიღოს შრომა ამ საქმეში. ამისთვის ის ითხოვს, რომელიც თანამშრომელს ეძებს, მოიწეროს „დროების“ რედაქციაში ადრესით: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Время“.

(*) Майко. Драма въ 3 дѣйствіяхъ. Соч. Н. Беклемишева. СПб 1847 г.